EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

თებერვალი 2011 №2 (24)

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და ევროპული კვლევების ინსტიტუტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმს ხელი მოაწერეს კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა, თსუ—ს რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა ნინო ლაპიაშვილმა. ხელშეკრულების მიზანია საქართველო—ევროკავშირის ურთიერთობების აქტიურ საკითხებზე საკანონმდებლო და საკონსულტაციო პოტენციალის ორმხრივი გამოყენება, დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება.

მხარეები თანხმდებიან, მჭიდროდ ითანამშრომლონ 4 ძირითადი პუნქტის გათვალისწინებით:

1. კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამჭვირვალობის, სამართლებრივ დონეზე საჯაროობის პრინციპების განმტკიცების და საკანონმდებლო პროცესებში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა;
2. მათ ხელთ არსებული ან სამომავლოდ მოძიებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებით ერთმანეთთან ურთიერთობის გაღრმავება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან იმ კანონპროექტების შესაბამისობის ანალიზის მომზადება, რომლებზეც კომიტეტის დასკვნა სავალდებულოა.
3. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე საკანონმდებლო და საკონსულტაციო პოტენციალის აქტიური და ორივე მხარისათვის სასარგებლო გამოყენება.
4. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ, მისი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში ევროპული კვლევების ინსტიტუტისათვის ექსპერტული მხარდაჭერა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადებაში.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია აქტიურად იყვნენ ჩართულები ევროინტეგრაციის საკითხებში. ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ ექსპერტების ჯგუფს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას პროფესიულ ანალიზს წარმოადგენენ და საზოგადოების მოლოდინს ასახავენ. ვფიქრობ, ეს თანამშრომლობა ორმხრივად დადებითი და შედეგიანი იქნება“, — აღნიშნა თსუ—ს რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე საჭიროა, რომ მოხდეს საზოგადოებისა და საკითხის ექსპერტთა მაქსიმალური ჩართულობა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში. მოხარული ვარ, რომ ამ კავშირების გაღრმავებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად ზრუნავენ“, — განაცხადა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით დარჩიაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ევროკალენდარი

3 მარტი

ვიშეგრადის ოთხეულის საგარეო საქმეთა მინისტრთა გაფართოებული შეხვედრა
„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საკითხებზე.
(ბრატისლავა, სლოვაკეთი)

10 – 11 მარტი

კონკურენტუნარიანობის საბჭოს შეხვედრა.
(ბრიუსელი, ბელგია)

11 – 12 მარტი

საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური შეხვედრა.
(ბუდაპეშტი, უნგრეთი)

15 მარტი

ეკონომიკურ და ფინანსთა საბჭოს ყოველთვიური შეხვედრა.
(ბრიუსელი, ბელგია)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

თებერვლის დაიჯესტი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დარგში ევროკომისარ შტეფან ფულესთან ერთად

2011 წლის 1 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის ბრიუსელში ვიზიტისას შედგა ოფიციალური შეხვედრა ევროკომისართან გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დარგში, შტეფან ფულესთან.

შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების პრიორიტეტული საკითხები. დადებითად შეფასდა ამ მხრივ 2010 წელს მიღწეული შედეგები.

მხარეებმა კმაყოფილება გამოხატეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების 2011 წლის 1 მარტიდან ძალაში შესვლის თაობაზე. აქვე აღინიშნა ქართული მხარისათვის ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების მნიშვნელობა.

პოზიტიურად შეფასდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესი და ყურადღება გამახვილდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დროულად დაწყების აუცილებლობაზე. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პროცესში ევროკავშირის მნიშვნელოვან როლზე.

ევროკომისარი მოლდოვას სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხზე გეგმას წარუდგენს

ევროკავშირის საშინაო საქმეების კომისარმა, სესილია მალმსტრომმა მოლდოვაში ყოფნისისას პრემიერ მინისტრ ვლად ფილატთან ერთად განიხილა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საამოქმედო გეგმა.

გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა სამოგზაურო დოკუმენტების უსაფრთხოება, სასაზღვრო და სამიგრაციო მენეჯმენტი, საზოგადოებრივი წყობა და უსაფრთხოება, ასევე ორგანიზებული დანაშაულის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც მოლდოვამ თავისუფალი სავიზო რეჟიმის დამყარებამდე უნდა დაასრულოს.

მალმსტრომი ასევე შეხვდა მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარეს. შეხვედრაზე განიხილეს ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხები მობილურობის, მიგრაციის და უსაფრთხოების კუთხით.

ბრიუსელი აფრთხილებს ევროკავშირის ოფიციალურ პირებს, მეამცირონ განახარჯები

ევროკომისიის განცხადებით, ევროკავშირის ინსტიტუტებმა სოლიდარობა უნდა გამოხატონ ევროპელი მოქალაქეების მიმართ, რომელთაც მწვავე ეკონომიკური კრიზისი შეეხოთ. სოლიდარობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა გახდეს სამივლინებო ხარჯების შემცირება.

ევროკავშირის ბიუჯეტის კომისარმა, ლევანდოვსკიმ, ევროკავშირის 16 ინსტიტუტს და 30 სააგენტოს წერილი გაუგზვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ 2012 წლისთვის ოფისების შიდა ხარჯების ზრდის ზღვარი უნდა იყოს 1%-ზე ნაკლები და ამის ასახვა რეალურ ვადებში უნდა განხორციელდეს.

"ჩვენ უნდა გამოვხატოთ მეტი სოლიდარობა, ევროკავშირის ინსტიტუტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ "ბუშტში" არ ცხოვრობენ"- განაცხადა ლევანდოვსკიმ.

ევროკავშირი ტექნიკური ექსპერტების ჯგუფს ამზადებს, რომელიც მომავალ კვირას სუდანში გაეგზავნება

ევროკავშირის ოფიციალური პირები შიშობენ, რომ აფრიკის ქვეყნებში შექმნილი ვითარება დიდ საფრთხეს შეუქმნის მთელი კონტინენტის უსაფრთხოებას.

8 თებერვალს კეტრინ ეშტონის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ "მისია გაიგზავნება ჯუბაში (სამხრეთ სუდანში), რათა მოახდინოს სიტუაციის სტრატეგიული შეფასება და იმის განსაზღვრა, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია ევროკავშირს სტაბილურობის შესანარჩუნებლად და თავდაცვის სექტორის განვითარებისთვის."

ევროპარლამენტში მიმდინარე დებატების დროს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის გენერალურმა დირექტორმა, პიტერ ზანგელმა, განაცხადა: "სცენარის ყველაზე ცუდი ნაწილი არ მომხდარა, მაგრამ ურთულესი ნაწილი ჯერ კიდევ წინაა".

ბუზეკი: "ევროკავშირის ბიუჯეტის გაყინვა ძალიან სახიფათოა"

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა იერჟი ბუზეკმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ბიუჯეტის გაყინვის მოთხოვნა, როგორც ამას რამდენიმე წევრი სახელმწიფო მოითხოვს, უაღრესად სახიფათოა, რადგან ჯერ კიდევ საჭიროა დიდი ინვესტიციები ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად.

პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადებით, "27 სახელმწიფოსგან შემდგარმა ბლოკმა თავისი კონკურენტუნარიანობის აღდგენა ახალი ინვესტიციების, ინოვაციების და ახალი იდეების განხორციელების ხარჯზე უნდა მოახდინოს."

"სტრუქტურული ფონდები არის მთვარი ინსტრუმენტი კონკურენტუნარიანობის აღსადგენად. ჩვენ უნდა დავხარჯოთ მეტი თანხა ახალი პოლიტიკის და ტექნოლოგიების განვითარებისთვის," – განაცხადა ბუზეკმა.

ლისაბონის ხელშეკრულება და ევროკავშირის ახალი გრძელვადიანი სტრატეგია „ევროპა 2020" კავშირს მოქმედების მეტ საშუალებას აძლევს. ევროპარლამენტი განაგრძობს ბრძოლას იმისთვის, რომ მოიპოვოს დამატებითი რესურსები კავშირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აღნიშნა ბუზეკმა.

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com; www.euobserver.com; www.europeanvoice.com

ევროკავშირმა საქართველოში პროექტების განსახორციელებლად თოთხმეტი საუკეთესო არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია

2011 წლის 25 იანვარს ევროკავშირმა საქართველოში პროექტების განსახორციელებლად 14 ქართული და ევროპული არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია. პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობას სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის გზით, ასევე კანონის უზენაესობისა და ეფექტური მმართველობის ხელშეწყობას. გამოყოფილი საგრანტო თანხის საერთო მოცულობა 1 120 000 ევროს აღემატება. კონკურსის გამარჯვებულთა შორისაა შემდეგი ქართული და ევროპული არასამთავრობო ორგანიზაცია:

- გარდამავალ რეგიონებში დიალოგის ფონდი STIDIT (ნიდერლანდები)
- Penal Reform International (დიდი ბრიტანეთი)
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დედათა ასოციაცია "დეა" (საქართველო, ზუგდიდი)
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
- დემოკრატიის ინსტიტუტი (საქართველო, ბათუმი)
- People in Need (ჩეხეთი)
- ჰაინრიხ ბიოლის ფონდი (გერმანია)
- ევრიჩაილდი — საქართველოს ფილიალი
- და სხვა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა "დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ევროპული ინსტრუმენტი" 1994 წელს შეიქმნა. მისი მიზანია მხარი დაუჭიროს და დაიცვას დემოკრატია და ადამიანის უფლებები ევროკავშირის საზღვრებს გარეთ მთელს მსოფლიოში. პროგრამის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 100 მილიონი ევრო გამოიყოფა.

ევრობიბლიოთეკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა



❝ *The Ultimate EU Test Book - Administrator (AD) Edition 2011* ❞
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: András Baneth
ენა: ინგლისური.

❝ *The Union after Lisbon - The Treaty reform of the EU* ❞
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd
ავტორი: Dr. Zoltán Horváth, Bálint Ódor
ენა: ინგლისური.

❝ *Six Battles that Shaped Europe's Parliament* ❞
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: Julian Priestley
ენა: ინგლისური

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
http://eubookshop.com/1

ევროსტატისტიკა

ევროკავშირში ყოველი მესამე ინტერნეტის მომხმარებელი კომპიუტერული ვირუსის მსხვერპლი ხდება

8 თებერვალს ევროკავშირში უსაფრთხო ინტერნეტის დღე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით ევროკავშირის სტატისტიკურმა ოფისმა, ევროსტატმა, მოამზადა სტატისტიკური მონაცემები ინტერნეტ-უსაფრთხოების საკითხზე.

ევროკავშირში 2010 წლის მონაცემებით ინტერნეტის მომხმარებელთა 31%-მა აღნიშნა, რომ კომპიუტერული ვირუსების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ და დაკარგეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამ მხრივ ყველაზე დიდი მაჩვენებელი აღინიშნა ბულგარეთში (58%), მალტაში (50%), სლოვაკეთში (47%), უნგრეთსა (46%) და იტალიაში (45%), ხოლო ყველაზე ნაკლებ ვირუსების ზემოქმედება განიცადეს ავსტრიელებმა (14%), ირლანდიელებმა (15%), ფინელებმა (20%) და გერმანელებმა (22%).

ინტერნეტის მომხმარებელთა 4% უკმაყოფილება გამოთქვა გლობალური ქსელით სხვადასხვა სახის კერძო თუ კომერციული ინფორმაციის გავრცელების გამო. ყველაზე მეტად ეს საკითხი აწუხებთ ბულგარელებს (7%), ესპანელებს (7%), იტალიელებსა (6%) და ჰოლანდიელებს (6%). გამოკითხულთა 3%-მა აღნიშნა, რომ განიცადა ფინანსური ზარალი ინტერნეტით მძარცველების მიერ საკრედიტო ბარათის ან სხვა მონაცემების მოტყუებით გამოყენების გამო, რამაც ყველაზე მეტად ლატვიელები (8%), დიდი ბრიტანელები (7%), მალტელები (5%) და ავსტრიელები (5%) დააზარალა.

გამოკითხულთა 84%-მა აღნიშნა, რომ პირადი კომპიუტერების და მონაცემების დასაცავად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სახის ანტივირუსულ პროგრამას. დამცავი ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ მაღალი მონაცემი აღინიშნა ჰოლანდიაში (96%), ლუქსემბურგში (91%), მალტაში (91%), ფინეთში (91%), ხოლო დაბალი კი – ლატვიაში (62%), რუმინეთში (64%), ესტონეთში (65%).

მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს შორის 14%-მა აღნიშნა, რომ სისტემატურად იყენებს სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს, რითაც ახერხებენ ბავშვებისთვის აკრძალული ვებ-გვერდების ხილვის კონტროლს. ეს რიცხვი მაღალი იყო ლუქსემბურგში (25%), სლოვენიასა (25%) და საფრანგეთში (24%). გამოკითხულთა 5%-მა ასევე აღნიშნა, რომ ბავშვის მიერ არასასურველ ვებგვერდზე შესვლის ფაქტის მოწმე გამხდარა. ყველაზე ხშირად ეს იტალიელებს (11%) და ლატვიელებს (9%) შეუმჩნევიათ.

ევრო პაიჭრა

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. "ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3, N4, N9,N10, N11, N12) დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ლატვიის საზაფხულო სკოლა

ლატვიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა აცხადებს კონკურსს საერთაშორისო სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სახელწოდებით "სწავლა და გამოცდილების მიღება ბალტიისპირეთში: ბუნება, კულტურა და მინერალური წყლების საკურორტო ტურიზმი". სწავლება განხორციელდება 2011 წლის 31 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით ლატვიის ქალაქ ვალმიერასა და ესტონეთის ქალაქ პარნუში.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეობის მქონე კანდიდატებისთვის ხელმისაწვდომია ლატვიის ვიძემის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის ორი სტიპენდია, რომელიც ფარავს: სასწავლო პროცესის ხარჯებს, დაბინავებას, კვებას, პრაქტიკული მეცადინეობებისა და მგზავრობის ხარჯებს ვალმიერადან პარნუში, სოციალურ და კულტურულ პროგრამებში მონაწილეობას.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- რეზიუმე (CV);
- სამოტივაციო წერილი;
- პროგრამის შესაბამის სფეროებში მინიმუმ ბაკალავრის დიპლომის ასლი ნიშნების ფურცელთან ერთად. თუ სტუდენტი ჯერ ისევ ბაკალავრიატში სწავლობს, განაცხადის გაგზავნის მომენტისათვის არსებული აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ერთი სარეკომენდაციო წერილი;

განცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 ივნისი.

ოქსფორდის უნივერსიტეტის დიპლომატიური კურსები 2011–1012 სასწავლო წლისათვის

ოქსფორდის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დიპლომატიური სწავლებების განხრით მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტების მიერ დიპლომატიის ექვსთვიანი კურსების გასავლელად, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება 2011 წლის 3 ოქტომბრიდან 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით. პროგრამის ფარგლებში მონაწილე სტუდენტები შეისწავლიან დიპლომატიასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა დიპლომატიური საქმიანობა პრაქტიკაში, მიმდინარე საერთაშორისო და ეკონომიკური საკითხები, დიპლომატიური სიმულაციები, საერთაშორისო ურთიერთობები ე.წ. "ცივი ომის" პერიოდიდან მოყოლებული, ევროპული ინტეგრაცია, ბრიტანული პოლიტიკა ტეტჩერიდან კემერონამდე, ევროპული პოლიტიკა 2000-2012 წლებში, საჯარო დისკუსიები დიპლომატებისათვის.

გარდა ამისა, პროგრამის მონაწილენი დაესწრებიან მოწვეულ ლექტორთა ლექციებს დიპლომატიის საკითხებზე და საშუალება ექნებათ, გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ფლობის დონე ოქსფორდის უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტების ზედამხედველობით.

მოცემული ექვსთვიანი პროგრამის სრული საფასური შეადგენს 13,325 ფუნტ სტერლინგს. პროგრამის მონაწილეებს დახმარება გაეწევათ ოქსფორდში საცხოვრებელი ადგილის შერჩევაში.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა შევსებულ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად ელექტრონულად უნდა გაგზავნონ:

- სარეკომენდაციო წერილი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლისაგან, რომლისთვისაც კარგადაა ცნობილი კანდიდატის წარსული აკადემიური საქმიანობა;
- დიპლომისა და აკადემიური მოსწრების დამადასტურებული დოკუმენტაციის ოფიციალურად დამოწმებული ასლები;
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ELT-ის სერტიფიკატი ან მასთან ოფიციალურად გათანაბრებული გამოცდის შედეგები;
- სამოტივაციო განცხადება;
- ორი ცალი საპასპორტო ზომის ფოტოსურათი

მათ ვინც ვერ ახერხებს ექვსკვირიანი კურსის გავლას შეუძლიათ გაიარონ ორკვირიანი (20 ივნისი — 1 ივლისი 2011 წელი) კურსი. კურსის საფასური შეადგენს 2550 ფუნტ სტერლინგს.

განცხადების გაგზავნი ბოლო ვადაა 2011 წლის 24 ივნისი.

ზემოჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად"

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **" ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად "** საქართველოს რადიოს პირველი არხი

კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის დროით"** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung